საგრანტო ხელშეკრულება 2012/004

ერთი მხრივ გაეროს ბავშვთა ფონდი, UNICEF, (შემდგომში დონორად წოდებული) მისი წარმომადგენლის, ბ-ნი რულანდ მონაშის სახით, და მეორე მხრივ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, (შემდგომში გრანტის მიმღებად წოდებული) მისი დირექტორის, ქ-ნი ნატა ავალიანის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება ეფუძნება საქართველოს მთავრობასა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შეთანხმებულ 2011-2015 წწ. ქვეყნის სამოქმედო გეგმას, ასევე გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ხელმოწერილ 2011-2012 წ.წ. ორწლიან სამოქმედო გეგმას და ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდში არსებული ფონდების გადაცემის ჰარმონიული მიდგომის (HACT) ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დონორი გრანტის მიმღებს გადასცემს ფულად სახსრებს პროექტის "ქვეყანაში როტავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის დანერგვის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების იმუნიზაციისადმი დამოკიდებულების შესწავლა" (შემდგომში "პროექტი") განსახორციელებლად. პროექტი ითვალისწინებს როტავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის დანერგვის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებში ახალი ვაქცინისადმი დამოკიდებულებისა და შეხედულებების კვლევას, კერძოდ: (ა) ახალი ვაქცინაციის დანერგვის ხელშემწყობი მექანიზმებისა და შესაძლო წინააღმდეგობების/ვაქცინაციაზე უარის თქმის დაძლევის გზების შესწავლას და ბ) ვაქცინაციის დანერგვის პროცესში დაინტერესებული მხარეების შესაძლო როლის განსაზღვრას.

2.2 გრანტის მიმღები პასუხისმგებელია პროექტის მართვაზე, განხორციელებაზე, ხარისხის კონტროლზე, შიდა მონიტორინგსა და პროექტის შედეგების შეფასებაზე, წერილობით და ფინანსურ ანგარიშგებაზე, წარმოდგენილი საპროექტო წინადადებისა და ბიუჯეტის შესაბამისად (დანართი №1 – საპროექტო წინადადება, დანართი №2 – ბიუჯეტი).

გრანტის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. მონაცემთა ბაზა წარმოდგენილი SPSS და STRATA სტრატას ფორმატში.
2. ტექნიკური ანგარიში რომელიც ამავე დროს შეიცავს ველის კონტროლის აქტივობებს;
3. ექსელის სტატისტიკური ცხრილები რომელიც დაყოფილი იქნება სოფლის, ქალაქის და რეგიონების მიხედვით;
4. კვლევის ანალიზური ანაგარიში და რეკომენდაციები;

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 მუხლში მოხსენიებული დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 დონორის მიერ გრანტის მიმღებზე გასაცემი საგრანტო თანხა შეადგენს 40,426.00 (ორმოცი ათას ოთხას ოცდაექვსი ლარი) ლარს, რომელიც გადაირიცხება გრანტის მიმღების ანგარიშზე (სახელმწიფო ხაზინა, ა/ა – 200122900. ბანკის კოდი - 220101222, SWIFT BIC – TRESGE22. საბიუჯეტო შემოსულობის კოდი – 302007000; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) HACT-ის გრანტის მიმღების ანგარიშზე გადარიცხვის მოდელით და განაწილდება შემდეგნაირად:

I ფაზა:	40426.00 ლარი	20.04.2012– 20.06.2012	გრანტის მიმღების ანგარიშზე გადარიცხვის მოდელი

3. ხელშეკრულების ვადა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2012 წლის 20 ივნისამდე და ძალაში შედის 2012 წლის 20 აპრილს.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1 გრანტის მიმღები ვალდებულია:

1) გრანტი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისა და დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად;
2) დონორს წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა გრანტის თითოეული ფაზის განხორციელებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვის თაობაზე. მოთხოვნა უნდა შედგეს ავტორიზაციისა და სერთიფიცირების ფორმის (FACE) მეშვეობით და თან ერთვოდეს წერილი გრანტის მიმღების ანგარიშის მითითებით
3) თითოეული ფაზის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა დონორს წარუდგინოს თანხების ხარჯვის ანგარიში ფონდების ავტორიზაციისა და სერთიფიცირების ფორმის (FACE) შესაბამისად
4) თითოეული ფაზის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა დონორს წარუდგინოს წერილობითი ანგარიში პროექტის შესაბამისი ფაზით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების შესახებ
5) პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა შემდეგ დონორს წარუდგინოს საბოლოო წერილობითი ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ
6) დონორის მოთხოვნის შემთხვევაში, უკან დააბრუნოს კონკრეტული გადარიცხვის განხორციელებიდან 4 თვის განმავლობაში აუთვისებელი თანხა. თანხის უკან დაბრუნება უნდა მოხდეს მოთხოვნის მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში
7) პროექტის დასრულების შემდეგ არსებული დაუხარჯავი თანხა დაუბრუნოს დონორს ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობების დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში

8) უზრუნველყოს წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულების ფინანსური და პროგრამული დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა დონორის და/ან მის მიერ დაქირავებული აუდიტორული კომპანიისათვის/მისი წარმომადგენლისათვის პროექტის განხორციელების პერიოდში და მისი დასრულებიდან შვიდი წლის განმავლობაში;

4.2 **გრანტის მიმღებს უფლება აქვს:**

1) დონორთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, შეცვალოს ბიუჯეტის თითოეული ხაზის თანხა თუ, (ა) ცვლილება არ აღემატება ბიუჯეტის შესაბამისი ხაზის 10%-ს; (ბ) ცვლილება შეესაბამება საპროექტო წინადადებას და მოსალოდნელ შედეგებს; (გ) ცვლილება არ ზრდის პროექტის მთლიან ბიუჯეტს.
2) მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1.6 მუხლში განსაზღვრული თანხის უკან დაბრუნება შემდეგი ფაზისათვის საჭირო თანხის მოთხოვნასთან ერთად ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების მოთხოვნის პროცედურების დაცვით.
3) დონორისგან მიიღოს კონსულტაციები პროექტის განხორციელების პერიოდში.

4.3 **დონორი ვალდებულია:**

1) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრული თანხა დროულად გადარიცხოს გრანტის მიმღების მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშ(ებ)ზე;
2) თანხის გადარიცხვის თაობაზე აცნობოს გრანტის მიმღებს წერილობითი ფორმით.

4.4 **დონორს უფლება აქვს:**

1) გრანტის მიმღებისაგან მოითხოვოს კონკრეტული გადარიცხვის განხორციელებიდან 4 თვის განმავლობაში აუთვისებელი თანხის უკან დაბრუნება.
2) წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მისი ამოწურვიდან 7 წლის განმავლობაში განახორციელოს სხვადასხვა სახის მონიტორინგის ღონისძიებები და აუდიტორული შემოწმებები.

5. ხელშეკრულების განახლება, შეცვლა და მოშლა

5.1 ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ გააგრძელონ მისი მოქმედების ვადა ხელშეკრულების დანართზე ხელმოწერის შედეგად.

5.2 ხელშეკრულებასა და მის დანართებში (გარდა 4.2.1. მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა) ცვლილებების შეტანა შეიძლება მოხდეს დონორის ან გრანტის მიმღების პროგრამული მიმართულებების, პრიორიტეტების და დაფინანსების წყაროს ცვლილების შემთხვევაში. ცვლილება უნდა მოხდეს მხოლოდ მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით და წინამდებარე

ხელშეკრულების დანართზე ხელმოწერით. ასეთი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ორივე მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების დაუყოვნებლივი შეწყვეტა.

5.3 დონორს უფლება აქვს მოითხოვოს გრანტის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, თუ გრანტის მიმღები:

1) არამიზნობრივად იყენებს თანხებს;
2) სისტემატურად არღვევს დონორის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს;
3) სამართლებრივი სტატუსის შეცვლის გამო აღარ შესწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების უნარი

5.4 წინამდებარე ხელშეკრულების 5.3.1 და 5.3.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში გრანტის მიმღებმა დონორს უკან უნდა დაუბრუნოს პროექტის განხორციელების განმავლობაში გადარიცხული მთლიანი თანხა, ხოლო 5.2. მუხლში მოხსენიებული შეწყვეტის შემთხვევაში გრანტის მიმღებმა დონორს უნდა დაუბრუნოს იმ მომენტისათვის მიღებული მაგრამ აუთვისებელი თანხა. დავის წარმოშობის შემთხვევაში მისი გადაჭრა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. დასკვნითი დებულება

6.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე 2-2 (ორ – ორ) იურიდიულად თანაბარი ძალის მქონე პირად და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. თარგმანში განსხვავებების აღმოჩენის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ტექსტს

7. მხარეთა ხელმოწერა

ხელმოწერა :

თარიღი: 20 აპრილი, 2012 წ.

ნატა ავალიანი

დირექტორი
დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი

ასათიანის ქუჩა №9
0177 თბილისი, საქართველო
ტელ.: (995 322)) 239 89 46

ხელმოწერა:

თარიღი: 20 აპრილი, 2012 წ.

რულანდ მონაში

წარმომადგენელი
გაეროს ბავშვთა ფონდი
თბილისი, საქართველო

ერისთავის ქ. №9, გაეროს სახლი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ.: (995 32) 25 11 30/23 23 88